ვანო იმერლიშვილი

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი

ნაშრომის შესახებ

ნაშრომში განხილულია გენერალ ლაზარევის (1766-1803) მკვლელობის ფაქტი, რომელიც, დღემდე არსებული წყაროებით საქართველოს უკანასკნელ დედოფალ მარიამს მიეწერება.

ნაშრომი დაწერილია ქართული, რუსული და ევროპული წყაროების, უცხოურ ენებზე არსებული სპეციალური ლიტერატურის საფუძველზე.

ევროპული წყაროებისათვის პოლკოვნიკ როტიერის ცნობა წარმოადგენდა საყრდენ წერტილს სხვადასხვა სახის მწერლური ჩანახატების შესაქმნელად მარიამ დედოფლის მიერ გენერალ ლაზარევის მოკვლის შესახებ.

როტიერის ეს ცნობა დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ჟურნალში “აზიის მცხოვრებნი” 1827 წლის ივნისის ნომერში, რომელიც ქართულად თარგმნა ალ. ჭყონიამ და დაბეჭდა ჟურნალ “მოამბე”-ში, #7, გვ.9, 1894.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, ლიტერატურულ-ისტორიული განხრით მომუშავე სტუდენტთათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.